წ. I 1915 წ. ოთხშაბათი 29 აპრილი

# სამშობლო

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ... 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადებას დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 68 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 68

„სამშობლო დიდის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა".

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო"

### ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

---

**ჯიბო დავითის ძე იაშვილი** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 2 მაისს, სოფელ არგვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი მისი დაუვიწყარი ძმის

## ანტონ იაშვილის

სულის მოსახსენებლად. ცალკე მოსაწვევი ბარათები არ დარიგდება.
1—1—188

---

ქუთაისის ქართული გიმნაზიის მუდალტერი **ალექსანდრე დიმიტრის ძე ლორთქიფანიძე შვილებითურთ, ვლადიმერ და აკაკი ქრისტეფორეს ძენი ნაცვლიშვილები, სპირიდონ და ალათი დალაქიშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა გარდაცვალებას პირველი ძვირფასი მეუღლისას, მეორენი დაუვიწყარი დისას და მესამენი საყვარელი რძლისას

## ანა (ანეტა) ქრისტეფორეს ასულის ლორთქიფანიძისას,

უმორჩილესად სთხოვენ ნათესავთა, ნაცნობთ და პატივისმცემელთ მობრძანდენ მიცვალებულის გამოსვენებაზე მაისის პირველს, დღით პარასკევს, ნაშუადღევს 4 საათზე, მესხეთის ქუჩაზე, მოედანთან, იაკორ კეპულაძის სახლში. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. ცალკე წერილები არ იქნება.
189—1—2

---

**ქუთაისის თეატრი.**

ქართველ მსახ. ამხანაგობის მიერ, შაბათს, 2 მაისს, **წარმოდგენილი** იქნება ვალ. შალიკაშვილის მონაწილეობით, პირველად ქართულ სცენაზე ორიგინალური პიესა შოთა დადიანისა

## —განწირულნი—

4 მოქ.

მონაწილეობას მიიღებს არადელი-იმხნელი და ამხანაგობის მთელი დასი.

**დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.** **ფასები ჩვეულებრივია.**

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი. ადმინისტრატორი ვ. ურუშაძე.

---

დაიბეჭდა და იყიდება ქ. **ოცხელის წიგნის მაღაზიაში** (ქუთაისში)

## „НОВОЕ СЛОВО"

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

ფასი ყდით 2 აბაზი.

თვ.

---

## ს/ს გოკიელოვის—შ-ბი

ქუთაისში

**ამით აუწყებს მეაბრეშუმე-მწარმოებლებს,** რომ **გაზეთებში** გამოჩდა ცნობები შესახებ იმისა, რომ **ზოგიერთი თესლის გამყიდველები** სარგებლობენ არეული დროით და გამოაქვთ ბაზარზე ყალბი (ცუდი) თესლი და მას, (რაც ფრიად სამწუხაროა) ათასგვარი საშუალებით—სხვა და სხვა ცნობილი ფირმის თესლის სახელით ასაღებენ ხახლში. ამისათვის გასული წლების მსგავსად წელსაც **ხ. ხრისტოდულიდის** მოუცილებელ საშიროდ ვცანით, რომ თესლის მეიდგენი მეაბრეშუმენი არ მოტყუვდენ და თავიდან აიცდინონ სიყალბე, გავაფრთხილოთ: **დააკვირდით ჩვენს ფირმას**—გარეთ კოლოფს აქვს **იმპერიკი ქართული წარწერით** (თეთრ ქაღალდზე) და ასვია „**შტემპელი**", აწერია „**ს/ს. გოკიელოვის შ—ბი**", შიგნით კოლოფში თეთრ ბლონდიდან გაკეთებული პატარა ტოპსიკებზე, რომელშიაც კაკალია ახის „**შტემპელი**" რუსულ-ქართული წარწერით „**ხ. ხრისტოდულიდისის**" და **ს/ს გოკიელოვის შ—ბის**", აქვე დასმულია **ლუქით ბეჭედი,** რომლის სიმთელეს აუცილებლათ ყურადღება უნდა მიექცეს. მიაქციეთ ყურადღება,—რომ კოლოფს ირგვლივ შემოყოლებული სათანადო მთავრობის ბანდეროლი აუცილებლათ მთელი იყოს. თ.

## თესლის გაყიდვა გძელდება.

---

ელექტრო-თეატრი **„რ ა დ ი უ მ ი".**

ორშაბათიდან, 27 აპრილიდან, ახალი პროგრამა.

## რუსეთის სამხედრო ქრონიკა

მ. ი. უ. მფარველობის მყოფ სკობელევის კომიტეტის გამოცემა.

## ვარშავასთან.

## ვოლგა და ციმბირი.

## ერმაკ ტიმოფეევიჩი.

ტრაგედია 4 ნაწილათ.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

---

**კაბინეტი** მასსაჟის და საექიმო ვარჯიშობისა. მასსაჟისტკა **მ. ტ. ბალანჩივაძისა** ჩამოვიდა და განაახლა ავათმყოფების მიღება, აქვს მოწყობილი **ორთქლის ვანა,** რომელიც სპობს სახის ყოველ-გვარ ავათმყოფობას: სიწითლეს, მუწუკებს, ნაკეცებს, ჭორფლს და ნაყვავილარ დასახიჩრებულ სახეს, ამასთანავე ვარჩენ სახის სხვა და სხვა ავათმყოფობას. **აგრეთვე ვუცრი ყვავილს.** ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდი. რჩევა და დარიგება 10 შ. მორჩენის ფასი ადგილზე გაიგება. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

---

**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

---

**კბილის ექიმები**

## მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.

დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

---

**ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

---

**ექიმი ე. ტ. მულინი** გადმოვიდა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩიქვაიძის სახლებში. ღებულობს ყელისა, ცხვირისა და ყურების ავათმყოფებს. დღით 2—3, საღ 7—8. თ.

---

**ბებია მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

---

## გამოცდილ სტუდენტთა ამხანაგობა

ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასისათვის. და ყველა საგანში. ინჟინრის ქუჩის გადასახვევი, სახლი ანდრეევისა, ქალთა უფასო სასწავლებლის ახლოს. თ. ე.

---

**დ. ყვირილაში.**

## სტუდენტი ვარლამ ფერაძე

(9 წ. პრაქტიკით) პირველ მაისიდან **ამზადებს** მოწაფეებს, ქალებს და ვაჟებს, ყველა საგნებში დაბალ და საშუალო სასწავლებლების კლასებისათვის. აგრეთვე სიმწ. მოწმ. აფთიაქის მოწაფეებს, მასწავლებლებს, 1 კლ. ჩინზე და სხ.

**მისამართი:** ყვირილა, პირველ-დაწყებითი უმაღლეს სასწავლებლის ახლოს, დათა ყუბარაძის სახლი. 14—1—187

---

# ომი

პეტროგრადის ტელ. სააგენტოსაგან.

**რომი. 26 აპრილი.** მასაჟეროს სიტყვით, ვენიდან მოვიდა კურიერი, რომელმაც მოიტანა ავსტრიის უკანასკნელი წინადადებები. ავსტრია სთხოვს იტალიას, ან მიიღოს ან უარყოს ეს წინადადებანი, რადგან მას აღარ შეუძლია ამაზე მეტი იტალიის სასარგებლოდ. წინადადებაში არ არის ლაპარაკი ტრიესტისა და ისტრიის დათმობაზე. ტურინში ჯიოლიტის საწინააღმდეგო დემონსტრაცია გაუმართეს. ჯიოლიტის რომში ელიან, რომ აქ მეფე და სალანდრა დაარწმუნოს, მიემხრონ იტალია-გერმანიის შეთანხმებას.

**პარიზი. 26 აპრილი.** ნიუპორსა და ზღვას შუა გერმანელებმა იერიში მოიტანეს, მაგრამ დიდის ზიანით უკუქცეულ იქნენ. ფრომელლის რაიონში ინგლისის ჯარმა წინ წაიწია. არასის ჩრდილოეთით ჩვენ წარმატებით ვმოქმედებდით, ლოასისა და კარანსის (სამხრ.) გზით; უკანასკნელ რაიონში ჩვენ დავიჭირეთ თითქმის სამი ხაზი მტრის სანგრებისა შვიდი კილომეტრის ფრონტზე. სოფ. ლატორეტში ჩვენ ნახევარი სოფელი დავიკავეთ. ჩვენი წინსვლა ნოვილსენვასტში რამდენიმე ადგილას ოთხ კილომეტრს უდრის. ტყვეთ წამოვიყვანეთ ათასზე მეტი ჯარისკაცი და ექვსი ზარბაზანი. ჩვენ შეძლება გვაქ გავითვალისწინოთ გუშინდელი ბრძოლის მტრის დიდი დანაკლისი. გერმანელები უშედეგოთ სარგებლობენ მახრჩობელა გაზებით და დამფუფქავი სითხით. დანარჩენ ადგილებში, განსაკუთრებით ლეპრეტრის ტყეში და სილავერვაზენთან, არტილერიის ბრძოლაა.

**ათინა. 26 აპრ.** ჟავშნოსანმა „კვინ ელისაბედმა" მოსპო გერმანიის ჰაეროპლანი, რომელიც ყუმბარებს ესროდა დარდანელში მოკავშირეთა გემებს; ზოგიერთ სამხედრო წრეებში დარწმუნებული არიან, რომ მოკავშირენი ოცი დღის განმავლობაში გაარღვევენ დარდანელს. ახლო მომავალში დაეცემიან მთავარი ფორტები. ბრძოლა ნახევარკუნძულის მრავალ ადგილზე მოკავშირეთათვის ხელსაყრელ პირობებში ხდება.

**ტოკიო. 27 აპრილი.** იაპონის ელჩს ხიოკის დაევალა შეკრას ჩინეთთან ხელშეკრულება. ერთი კვირის განმავლობაში, პარლამენტის არაჩვეულებრივი სხდომის წინ, ხელშეკრულება მზათ იქნება.

**ლონდონი. 27 აპრილი.** დილის სამ საათზე ვესტკლიფის თავზე და საუტენდის ახლოს გამოჩნდა ორი ცეპელინი და 15 ყუმბარა ჩამოაგდეს.

**პეტროგრადი. 27 აპრილი.** კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ჭოროხის მხარეზე და ზღვის პირის გზით ჩვეულებრივი სროლა და უმნიშვნელო შეტაკებები ხდება, მდ. ჭოროხის შუაწელში ჩვენმა ჯარმა დაიკავა არკინსი და თევა. ოლთისის გზით ჩვენმა ჯარმა მტერი მათი პოზიციებიდან სამხრეთ დასავლეთისკენ გასდევნა. უკან დახევის დროს მტერმა დასტოვა ბევრი კარვები და სამხედრო სურსათი. ერთ ადგილას ჩვენმა ჯარმა ხელთ იგდო ერთი პოლკის კანცელარია. თაპარიზეს (?) გზით მტერი გავდევნეთ უღელტეხილის სამხრეთისაკენ. აქ ჩვენმა ჯარმა დაიჭირა სოფლები. დანარჩენ ადგილზე ცვლილება არ მომხდარა.

**ტოკიო. 27 აპრილი.** ჩინეთში ჯარის გაგზავნა შეაჩერეს. სამხრეთ მანჯურიაში გაგზავნილი ჯარის უკან დაბრუნება გადადებულია. საკითხის საბოლოოთ გამორკვევამდის. პრესა მთავრობას დათმობისთვის უსაყვედურებს. ცირკ კოკუგკანეში მომხდარ მიტინგს 20,000 კაცი დაესწრო რეზოლუციის კითხვის დროს მიტინგზე არეულობა მოხდა. პოლიცია ჩაერია. კაბინეტის მოწინააღმდეგეებმა წაიკითხეს მეორე რეზოლუცია, მთავრობას კიცხავენ იაპონიის პრესტიჟის დაცემისათვის და კაბინეტის გადადგომას მოითხოვენ.

**ლონდონი. 27 აპრილი.** კურორტ უესტკლიფზე და საუტენდზე, სადაც კვირაობით ხალხი თავს იყრის, ჰაეროპლანებმა 30 ყუმბარა ჩამოყარეს. გაჩნდა ცეცხლი. მოკლულია 2 ქალი, არის რამდენიმე დაჭრილიც.

**ტოკიო. 27 აპრილი.** კრეისერი აზამა, რომელიც მექსიკის ნაპირებთან კლდეს დაეჯახა, წყლიდან ამოიღეს.

**პეტროგრადი 27 აპრილი.** ვარშავის არხიეპისკოპოსის ცნობით 5 აპრილს წირვის დროს ლომჟის სობოროში მტრის ჰაეროპლანიდან ჩამოგდებული ყუმბარა გასკდა საკურთხევლის წინ ხუთ ნაბიჯზე იმ დროს, როდესაც მღდავითნე სამოციქულოს კითხვას ათავებდა. მოხდა საშინელი აფეთქება, ფანჯრები ჩაილეწა, ანგურის ნამტვრევები მოხვდენ საკურთხეველს, არავინ არ დაზარალებულა, თუმცა სროლა ორი საათის განმავლობაში გრძელდებოდა. მეორე ყუმბარა გასკდა ეკლესიის გალავანთან. წირვა არ შეწყვეტილა.

**პარიზი. 27 აპრილი.** ლომბარტზიდეს ჩრდილოეთით მოვიგერიეთ გერმანელთა სამი იერიში. სენ-ჟორჟის აღმოსავლეთით ჩვენმა მსროლელთა რაზმმა დაიჭირა გამაგრებული ფერმა იუნიონი და მიწური სიმაგრე ფერმის აღმოსავლეთით. ტყვეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავიყვანეთ 30 კაცი. დილით დიუნკერკს ისევ ესროლეს. არასის ჩრდილოეთით ჩვენ გავამაგრეთ გუშინ დაკავებული ადგილები. დანარჩენ ადგილებში, არგონებში, ელზასში და სილაკერვაზენთან, არტილერიის ბრძოლა გრძელდება.

**რომი.** 26 აპრილი. ნეიტრალისტთა პარლამენტის ჯგუფს აზრათ აქ გამართოს აგიტაცია სამეფო საბჭოს მოწვევისათვის. პრესა ამ პროექტის წინააღმდეგია. „მასაჟეროს აზრით ასეთი ზომა შეიძლება საჭირო იყოს ზოგიერთ სახელმწიფოში, მაგრამ იტალიაში კი არ არსებობს არავითარი საბჭო, გარდა მინისტრთა საბჭოისა; ომის საკითხის გადაწყვეტა შეუძლია მარტო მეფეს და არა საბჭოს სახელმწიფო მოხელე წევრებს, გაზეთის სიტყვით მეფეზე, მთავრობის პოლიტიკაზე და საზოგადოების აზრზე ვილჰელმის წერილები და თ. ბიულოვის რჩევა-დარიგებები ვერავითარ გავლენას ვერ იქონიებენ.

**სალუნი.** 26 აპრილი. პეტროგრადის საბერძნეთის ელჩმა დრაგომუსმა დემისიის თხოვნა შეიტანა, რადგან მას არჩევნებში მონაწილეობის მიღება უნდა. მის ადგილზე დაინიშნება სტამბოლის ელჩი პანასი.

**პეტროგრადი.** დილმანთან დამარცხებით თათრებს დაემსხვრათ თავისი გეგმა, რომელიც შედგენილი იყო გერმანელთა ხელმძღვანელობით თავრიზთან იანვარში დამარცხების შემდეგ. ოსმალთა კერმანშახზე თავდასხმა, ქურდისტანის მცხოვრებთადმი მოწოდება ოსმალთა მოძრაობას შეუერთდენ და პრინც რეისის დაბრუნება დიდძალი ფულით და იარაღით, ყველა ამას უნდა გამოეწვია ახალი მოძრაობა თავრიზისაკენ, ჯულფასაკენ და ამიერ კავკასიისაკენ. დილმანთან დამარცხებამ ეს პლანები ჩაფუშა და ახლა ჩვენი მტრები უკანასკნელ ღონეს ღონობენ პროვოკაციის საშვალებით გამოიწვიონ სპარსეთში მწვავე კრიზისი, რაიც მათთვის საჭიროა დარდანელისა და ბოსფორის მდგომარეობის შესამსუბუქებლათ. თეირანში მათ უკვე მიაღწიეს მიზანს ვაჭრებს შორის აგიტაციით. ახლა მათ ისპაანზე მიმართეს თავისი ყურადღება. აქედან არა სასიამოვნო ამბები მოდის. იქ მისულან გერმანელთა აგენტები აუარებელი ოქროთი. აქ მათ უმავთულო ტელეგრაფი გაუმართავთ, რომ დამოკიდებულება იქონიონ სამხრეთ-სპარსეთის მცხოვრებლებთან. პრინც ეინუდ-დოულეს ავათმყოფობაც ალბათ გამოიწვევს სამინისტროს კრიზისს. სპარსეთის მოღვაწენი და პრესა გრძნობენ, რომ მტრები მოქმედებდენ თავისი და არა სპარსეთის სასარგებლოთ.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

### დარდანელთან.

დარდანელთან მოქმედება თანდათან რთულდება. 18 და 19 აპრილს მოკავშირეთა ჯარს ოსმალოთა რაზმებმა რამდენჯერმე თავგანწირვით შეუტიეს. მიუხედავათ იმისა, რომ ოსმალებს თანდათან ახალი ჯარი ეშველებოდა, მოკავშირეებმა ისინი მოიგერიეს, დიდი ზარალი მიაყენეს და საუკეთესო პოზიციები წაართვეს. 20 აპრილს შეტევა ისევ გრძელდებოდა, წინა დღეზე უფრო გაშმაგებით. ტყვედ წამოიყვანეს 200 ოსმალო.

21 აპრილს გალიპოლის ნახევარ კუნძულზე მოკავშირეებმა ახალი ჯარი გადმოსხეს და ცხარე ბრძოლის შემდეგ 1500 მტრის ჯარისკაცი ტყვეთ ჩაიგდეს. იმავე დღეს მტერსაც მიეშველა დიდი ჯარი. გალიპოლის ნახევარ-კუნძულზე ომი გრძელდება. ზღვაში ფლოტებმაც მოქმედება დაიწყეს. მიტილენზე ყუმბარებისაგან დიდი ცეცხლი გაჩნდა და ყველაფერი ნადგურდება.

### გერმანელები პოლონეთში.

სპილენძის საჭიროებამ გერმანელები იმ ზომამდის მიიყვანა, რომ პოლონეთის შაქრის ქარხნებიდან მიაქვთ სპილენძის ქვაბი, მილები და სხ.

### ამერიკის შეერთებული შტატები.

მთავრობის მაღალ წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია გერმანელთა წყალქვეშა ნავის შეერთებულ შტატების გემ „გულფაიტ“-ზე თავდასხმამ. ამისგამო პრეზიდენტ ვილსონმა შეკითხვით მიმართა ამერიკის ელჩს ბერლინში. თუ რა გზას დაადგება შეერთებული შტატები, ელჩიდან პასუხის მიღების შემდეგ გამოჩნდება.

### იტალია და სამთა კავშირი.

გაზეთების სიტყვით იტალია საბოლოოთ შეიერთდა სამთა კავშირს და ამ დღეებში ომში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს. იტალიის ფლოტი უკვე გამზადებულია: გემის უფროსებმა დაბეჭდილი კონვერტები მიიღეს და დღითი დღე ელიან უკანასკნელ ბრძანებას. ინგლისი და საფრანგეთი იტალიას ფინანსიური მხრით უზრუნველს ჰყოფს, ხოლო პურს რუსეთიდან გაიტანს, როდესაც დარდანელი გაიხსნება.

### ბულგარეთის პოზცია.

ბულგარეთის ერთ-ერთ დიპლომატმა „კიევსკაია მისლ“-ის თანამშრომელს განუცხადა: „ბულგარეთისა და სხვა სახელმწიფოთა ნეიტრალიტეტი დროებითია: კარპატებისა და დარდენელის აპერაციების დამთავრების უმალ ჩვენც ხმას ამოვიღებთო.

# რუსეთის ქრონიკა.

**სახელმწიფო საბჭო და სათათბირო.** პროგრესისტთა ფრაქციის უკანასკნელ სხდომაზე საჭიროდ იქნა ცნობილი სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა. ამის შესახებ ფრაქციის თავმჯდომარეს ი. ნ. ეფრემოვს საუბარი ჰქონდა სახელმწიფო სათათბიროს სხვადასხვა ფრაქციათა წარმომადგენლებთან, რის შემდეგ ეფრემოვმა ოფიციალური განცხადება წარუდგინა სათათბიროს თავმჯდომარეს როდზიანკოს ახლო მომავალში საკანონმდებლო პალატების მოწვევის შესახებ. თავის მხრით როდზიანკომ ინახულა საბჭოს თავმჯდომარე გორემიკინი. სახელმწიფო სათათბიროს წევრებს ცოტა იმედი აქვთ საკანონმდებლო პალატათა მოწვევისა, მაგრამ თუ სურვილი განხორციელდება— სხდომები გაიმართება მაისში მხოლოდ ორი კვირით.

**სახელმწიფო შემოსავალი.** მინისტრთა საბჭოს კანცელარიამ გამოაქვეყნა 1915 წლის იანვრის სახელმწიფო შემოსავლის ანგარიშები, რომელიც 1914 წლის იანვრის თვის შემოსავალთან შედარებით ასეთია: ჩვეულებრივი შემოსავალი წელს ნაკლები ყოფილა—95.892.000 მანეთით; მიწასა და სხვა უძრავ ქონებაზე გადასახადს დაუკლია 692.541 მანეთით. საბატონო და საქალაქო გადასახადს-კი 3.200.000 მანეთით; ღვინისა და არყის მონოპოლიის შემოსავალი შემცირებია—70.726.000 მანეთით; ხოლო თუთუნსა, პაპიროსის ქაღალდს და ჩაი-შაქარს მომატებია 3 მილიონი მანეთი. როგორც ამ ანგარიშებიდან სჩანს ამ წელს შარშანდელთან შედარებით 167.450541 მ. ნაკლები შემოსავალი ყოფილა.

# ომი და ინგლისელთა ლიბერალური აზროვნება.

ძველი ალბიონი-ინგლისი თავისი ძველი ბატონობის შენარჩუნებას ყოველი ღონით ცდილობს. ძველათ ის არც „პროტექციონიზმის“ და არც აგრესიული პოლიტიკის მომხრე არ იყო. ომს, სამხედრო ძალას და მილიტარიზმს თითქო სულ უარყოფდა. მისი იმედი მხოლოდ ფლოტზე იყო დაყრდნობილი. მისი საყოველთაო და საქვეყნო ლოზუნგი „თავისუფალი ვაჭრობა“ და თავისუფალი მოქმედება იყო.

მაგრამ დღეს, როცა მის წინაშე თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული გერმანია წარმოსდგა და მის ბატონობას ემუქრება, როცა დაინახა, რომ უჯაროთ და უიარაღოთ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს წინ, საბაჟო პოლიტიკასაც ხელი ჩასჭიდა, ჯარიც გაიჩინა და მილიტარიზმის ძლიერებაც აღიარა. ამით ინგლისის „თავისუფალი ვაჭრობის“ ლოზუნგიც შეილახა და ინგლისის ლიბერალური აზროვნებაც: წინააღმდეგობათა ბადეში გაიხლართა.

ინგლისელ ლიბერალებს არ სურთ ინგლისმა ძველი ბატონობა დაკარგოს და იმავე დროს ისინი მილიტარიზმს, ომს უარყოფით უყურებენ.

მართალია დღევანდელ ომს აუცილებლათ თვლიან და ინგლისის სრული გამარჯვებაც აუცილებლათ მიაჩნიათ, მაგრამ იმავე დროს ზავის ხელშეკრულებათა ათასნაირ პროექტებს იგონებენ და ამით მომავალში მაინც ომის თავიდან აშორებას ცდილობენ. ერთი სიტყვით, დღევანდელ ომში ინგლისს სრულ გამარჯვებას ულოცავენ, ხოლო მომავალში ამ გამარჯვების ნაყოფით, სარგებლობას უსურვებენ.

ინგლისელ ლიბერალთა პროექტები სხვადასხვა ჯურისაა.

ერთნი ამბობენ: ევროპის საბოლოოთ დასამშვიდებლათ საჭიროა გადიჭრას სამი უმთავრესი, ცენტრალური საკითხი: ელზასის, ბალკანეთის და პოლონეთის; და ამ კითხვების გადაჭრაში საფუძვლათ ეროვნება უნდა იქმნას აღიარებულიო.

ამაზე მეორენი უპასუხებენ, რომ ამ კითხვების ამ რიგათ გადაჭრა მათი მეტათ გამარტივება იქნებოდაო.

მიმხდომმა ნაციონალიზმმა დიდი უბედურება მიაყენა კაცობრიობას, ეს ყველასთვის ცხადია, მაგრამ ჩვენდა სავალალოთ, მსჯელობენ პროექტების კრიტიკოსნი, თავდაცვის ნაციონალიზმიც საბედისწერო თვისებას იჩენს: ის თავის მსვლელობაში ხშირად მიმხდომის ხასიათს სწრაფათ ითვისებსო.

უნგრეთის ნაციონალიზმი, მაგალითად, 1848 წელს თავდაცვისა იყო. მაშინ მით მრავალი მგოსნის ზეშთაგონება ბრწყინავდა და იგი მთელი ქვეყნიერების თანაგრძნობას იხვეჭდა. კოშუტიც ისე როგორც გარიბალდი, ინტერნაციონალური გმირი იყო.

მაგრამ როგორც კი უნგრეთის თავდაცვის ნაციონალიზმი თავისი მდგომარეობა-ვითარების ბატონ-პატრონი გახდა, მან იმ დღიდანვე სწრაფათ იწყო მიმხდომ ნაციონალიზმათ გადაქცევა და მერე როგორ მიმხდომათ! უნგრეთის ნაციონალიზმის დაცვის სახელით დაიწყეს სლავიანურ ერთა ნაციონალიზმის ულმობელი დევნა.

ამნაირათ, თუ დღემდე ყოველი ნაციონალიზმი მიმხდომ ხასიათს ღებულობდა, მაშინ რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს შემდეგშიაც არ გამეორდება, არ მოხდება?! აქედან რა საბუთი, რა გარანტია გვაქვს ვირწმუნოთ, რომ ბალკანეთის და პოლონეთის საკითხების ნაციონალისტურათ გადაწყვეტის შემდეგაც არ გამეორდება ის ეროვნული დევნა-აწიოკება, რამაც დღევანდელი ომი დაბადა? ასე უპასუხებენ ნაციონალისტ მეპროექტეებს ინგლისელი ლიბერალ-კრიტიკოსები. „მკვიდრი მშვიდობიანობისათვის საჭიროა დაარსდეს ყველა ნაციათა იურიდიული ტრიბუნალიო“, დაბეჯითებით გაიძახიან სხვა ჯურის ოპტიმისტ-ლიბერალები.

მათი აზრით „აუცილებლათ უნდა შედგეს ევროპის კონცერტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგება წარმომადგენლობითი საბჭო ანუ „მშვიდობიანობის ლიგა“. ეს ლიგა დაეყრდნობა საჯარო, საყოველთაო ხელშეკრულობას და საკმაო ძალაც ექნება, რომ ყველა თავის დადგენილებებს დაუმორჩილოსო“.

არც ეს აზრი სწამთ კრიტიკოსებს. ისინი ზემოხსენებულ ოპტიმისტებს უპასუხებენ: „ყველა ერთა წარმომადგენლების საბჭო ისეთივე ოცნებაა, როგორც ცნობილი ინტერნაციონალის ფიქრი, თითქო ის ევროპას საყოველთაო ომს თავიდან აიშორებდაო“.

ხოლო მეცნიერნი არ ცხრებიან და ევროპაში მშვიდობიანობის დასამყარებლათ კვლავ ახალ „თილისმას“ იგონებენ. ახლა ისინი ამბობენ: „ევროპა რომ სრულ გაველურებას, განადგურებას გადარჩეს და მისი ცივილიზაცია დაღუპვისაგან ვიხსნათ, ამისთვის მარტო ზავის ხელშეკრულობა და ხანგრძლივი მშვიდობიანობა როდია საკმაო; ამასთან ერთათ აუცილებლათ საჭიროა ერთი რამ და ეს ერთი არის—მორალი ანუ მცნება“.

ეს მორალი ანუ მცნება, მეოცნებეთა აზრით ერთი უნდა იყოს, როგორც სახელმწიფოსთვის ისე კერძო პირისთვისაც. მაგალითათ, რაც პიროვნებისთვის არის აღკრძალული, იგივე უნდა აღიკრძალოს სახელმწიფოსთვისაც. მანამდე კი ყოველთვის შესაძლებელია ომი ატყდეს და მშვიდობიანობას მკვიდრი საფუძველი არ ექნება. მაგრამ როგორ უნდა დამყარდეს ევროპაში ეს ახალი საყოველთაო სავალდებულო მორალი-მცნება?

როგორ შეიძლება, რომ ევროპის სახელმწიფოები ერთ კაცობრიულ პრინციპს დაადგენ და უთუოთ შეასრულონ კიდეც ის, თუნდაც მათ არსებით ეკონომიურ-სოციალურ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს?!

ეს ისეთივე უნიადაგო ოცნებაა, როგორიც დღემდე „გააგის სამშვიდობო კონფერენცია“ გამოდგა, ვიტყვით ჩვენ ამაზე.

**დ—ელი.**

# ახალი ამბავი.

მაისის პირველი რიცხვებიდან დეპუტატთა საკრებულოს სამართველო გადატანილი იქნება ქართული გიმნაზიის შენობაში, ჰავჭავაძის ქუჩაზე.

✦ ქუთაისის საურთიერთო საზოგადოებამ ბანკის საქმეებისათვის ვექილად დანიშნა ნაფიცი ვექილის თანაშემწე ვ. ქუთათელაძე.

✦ ქუთაისში ამ ჟამათ შაბიამანი თით ქმის სულ აღარ მოიპოვება და თუ ვისმეს კიდევ აქვს 18 მანეთ ნაკლებ არა ჰყიდის.

✦ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ პანაშვიდი პრაპორჩიკის ვახტანგ იოსების ძის ხელაძის სულის მოსახსენებლათ გადახდილი იქნება მთავარ ანგელოზის ეკლესიაში დღეს, 29 აპრილს, საღამოს 6 საათზე, და არა მიცვალებულის ბინაზე, როგორც ეს გამოცხადებული იყო.

✦ საფიჩხიის მცხოვრებლები სჩივიან, რომ ამ უბნის მეფურნეები მეორე ხარისხის პურს სულ არ აცხობენ. მესამე ხარისხის პური კი მეტად მჟავე და უსუფთაოა და ნიხრზე ზედმეტ ფასად ყიდიან.

✦ საქარის ამერიკული ვაზის სანერგე და არგვეთის სახელმწიფო მამული გადმოდის ქუთაისის საგუბერნიო მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტის განკარგულებაში.

✦ ქალაქის თვითმართველობაში ორშაბათს, 27 აპრილს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგა ქალაქის საბჭოს კრება. თავჯდომარის წინადადებისამებრ კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებული ბელეტრისტის ნიკო ლომოურის ხსოვნას. სანამ საქმეების გარჩევას შეუდგებოდენ ხმოსანმა ა. მ. კრინიცკიმ განაცხადა, რომ ზოგი ხმოსანი კრებებს ხშირად აკლდება და ბევრი კი დღიდან ხმოსნათ არჩევისა, კრებაზე სულაც არ ყოფილაო. ბ. კრინიცკიმ ასეთი ხმოსნების დაჯარიმება მოითხოვა.

ხმოსანი ი. ი. პურადაშვილი ხმოსნების დაჯარიმებას შეუფერებლათ სცნობს. საყვედურს აცხადებს აგრეთვე ხმოსანი ტ. მ. ჯაფარიძე. ხმოსანი მგალობლიშვილი ამბობს, რომ ასეთ ხმოსნებს საყვედური გამოუცხადონ. ამ საკითხის გარჩევა კრებამ შემდეგისათვის გადასდვა.

შემდეგ შეუდგენ მორიგი საკითხების გარჩევას. პირველათ განიხილეს გადამდებ სენით ავათმყოფთათვის სამკურნალოს ხარჯთ-აღრიცხვა. ასეთ საავათმყოფოს ასაგებათ და მოსაწყობათ ქალაქის გამგეობამ მთავრობისაგან 77000 მან. გამოითხოვა, მაგრამ ამოდენა თანხის გაღებაზე მთავრობამ უარი უთხრა. ამისთვის ქალაქის გამგეობამ საავათმყოფოს გეგმა შესცვალა. საავათმყოფოზე უნდა დაიხარჯოს არა უმეტეს 68000 მანეთისა. საბჭომ ხარჯთაღრიცხვა შეუცვლელათ მიიღო.

მეორეთ გაირჩა საკითხი სახალხო გასართობების მოწყობის შესახებ. ეს საკითხი უწყებაში შეტანილი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს ცირკულიარის მოთხოვნილებისამებრ. საბჭომ დაადგინა: გამოითხოვოს მთავრობიდან საჭირო სუბსიდია სახალხო თეატრის ასაგებათ, რადგანაც ქალაქს ამისთვის სახსარი არ მოეპოება.

მესამე საკითხი იყო, „ძმათა სასაფლაოს“ შესახებ. საბჭომ გადასწყვიტა ამ საჭიროებისათვის ცალკე მიეცეს 150 კვ. საჟ. მიწა სალორის სასაფლაოზე.

შემდეგ გაარჩიეს ექიმ ვასილ წერეთლის თხოვნა. ბ. წერეთელი ექიმ ნაზაროვის მაგივრათ ასრულებდა რკინისგზის ექიმის მოვალეობას ორი თვის განმავლობაში და 250 მ. მოითხოვა. გამგეობამ ექიმ წერეთლის თხოვნა არ შეიწყნარა და გასარჩევათ ფინანსიურ კომისიას გადასცა.

### თ ე ა ტ რ ი.

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის სეირნობა, რომელიც უნდა შემდგარიყო 23 აპრილს, უამინდობისა გამო შესდგება ხუთშაბათს, 30 აპრილს.

მზადდება მრავალი ახალი სანახაობა და სათამაშოები.

ბაღში შემსვლელს ნომრით ეძლევა თეატრის ბილეთი 3 მაისის წარმოდგენისა.

—

ამხანაგობის რეჟისორის კონ. ანდრონიკაშვილის ბენეფისი შესდგება შაბათს, 2 მაისს, მზადდება ახალი ორიგინალური პიესა **შოთა დადიანის „განწირულნი“**. სხვათა შორის ამ პიესაში მონაწილეობას ღებულობს მსახიობი ვალ. შალიკაშვილი.

—

ნ. გვარაძის ბენეფისი შესდგება ორშაბათს, 6 მაისს.

ამხანაგობა სეზონს დაასრულებს 6 მაისს.

### თფილისი.

— მატარებელი. ბათუმსა და სამტრედიას შუა ამიერიდან მიმოსვლის საკუთარი მატარებელია. მატარებელი დღით გამოდის ბათუმიდან და დღისითვე ბრუნდება უკან. ამ მატარებლის დანიშვნა დიდი შეღავათია მრავალ-რიცხოვან ადგილობრივ სოფლელთათვის და ქალაქ ფოთისათვის.

— ტრამვაის მოსამსახურეებს: ლომიძეს, ბურძლას, შარაკაძეს, ბარბაქაძეს და სულთანოვს ნება დართეს თავიანთ ამხანაგების შორის შეაგროვონ შემოწირულება აჭარლების სასარგებლოთ.

— ყველა სადგურებს ებრძანა ამიერიდან დაუბრკოლებლივ მიიღონ ყოველგვარი საქონელი ერთი ადგილიდან მეორე ადგილს გადასაზიდათ.

— კვირას შესდგა სახელოსნო დაწესებულებათა ხაზეინების შერეული კომისიის ათი წევრის ასარჩევათ კრება. კრებას 1250 ხაზეინისაგან მხოლოდ 91 დაესწრო. ხმის უმეტესობით აირჩიეს: შერემეტევი, აგამოვი, ევაჩენკო, ბერძენიშვილი, მაჩხანელი, სააკაძე, ლიბერმანი, საგანელი, პუშჩავოი და კამარიონი.

— უმაღლესათ დამტკიცდა ბორჯომყარსის რკინის გზის წესდება. შტოს ოლთამდეც გაიყვანენ. რკინის გზის სიგრძე 351 ვერსი იქნება.

— პეტროგრადიდან თავისუფალ-ეკონომიურმა საზოგადოებამ გამოუგზავნა ბ. ევგ. გეგეჭკორს ზუგდიდის მაზრაში დამშეულთათვის ათასი მანათი. ეს ფული ბ-ნმა გეგეჭკორმა გადასცა ბ. ამბროსი გარდავას სოფ. ცაიშში მცხოვრებელს გაჭირვებულთა შორის დასარიგებლად.

— ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებაში პრემია დანიშნეს ახლად გარდაცვალებულ მწერალ ნიკო ლომოურის სახელობაზე. პრემია მიეცემა მას, ვინც საუკეთესო თხზულებას ქართულ კულტურის შესახებ დასწერს.

### მოწერილი ამბავი.

შაბათს, 25 აპრილს, მოწამეთის მონასტერში იყო წირვა და პანაშვიდი ახლად გარდაცვლებულის საზოგადო მოღვაწისა და მწერლის ნიკოლოზ იოსების ძის ლომოურის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის დაწყების წინ არქიმანდრიტმა დოსითეოსმა წარმოსთქვა გრძნობიერი, მხურვალე სიტყვა, რომლითაც ცოცხლათ დაასურათა ნიკოს მნათობი პიროვნება, როგორც ტკბილი, კეთილი და კაც-მოყვარე მასწავლებელისა და ნიჭიერი მწერლისა. სიტყვა დაამთავრა მოსწავლე ბავშვებისადმი მიმართვით: ყმაწვილებო! აღარ არის ნიკო, რომელმაც დაგიწერათ სასიამოვნო საკითხი მოთხრობა „ქაჯანა“ დადუმდა საუკუნოთ მისი მარჯვენა ილოცეთ ჩემთან ერთად, რომ იმის ტკბილი და მართალი სული ღმერთმან დაამკვიდროს იქ სადაც მართალნი განისვენებენ.

**მღ. მონაზონი პავლე.**

### ქართვ. შორის წერა-კითხ. საზ. ქუთ განყ. 3 მაისს განზრახულ სეირნობისათვის შემოსწირეს:

მარიამ რუხაძისამ—ოქრომკერდით მოქარგული გულისპირი, წითელ ატლასზე მოქარგული ბალიშის საპირე და ყვითელ ატლასზე მოქარგული აბრეშუმით პატარა ბალიშის პირი, სარგიჯიანცის მაღაზიამ—1 წყვილი ჩულქი, ბუხბინდერმა—1 კოლოფი ფერადი ფოშტის ქაღალდი და კონვერტები, სავაჭრო სახლმა—ყუფარაძემ, ჯაკობიამ და გაგუამ—1 ტყავის რედიკული, 2 შარფი, 3 ქუდოფილა, 1 სარკე, გერასიმე ეფრემიძემ—2 მოქარგული საყელო, ორი სარტყელი, 1 რედიკული, გვიჩიამ და ჰავჰანიძემ—1 აბრეშუმის ქოლგა, 1 ალბომი, საპონები, ორი ქუდი, 1 შლიაპა, ძმ. გაგულაშვილებმა—ერთი საბლუზე აბრეშუმი, ერთი ნაქსოვი შარფი, ისაკ შულგერმა—საათის ძეწკვი, სპირდონ მოწონელიძემ—5 მან. ფულათ, იაკობ ალიბეგოვმა და მაქსიმე ზვიადაძემ—6 მან. ფულათ, მესაათე ბენიაურიშვილმა—1 ჩაის საწური, ცინცაძემ და ასათიანმა—1 დიდი ხილის და 1 პატარა მურაბის ვაზები, რევეკა ვოლოხმა—1 შლიაპა და 1 ტილოს ქუდი, სიმონ ეზიკოვმა—სანთელი, ჩაი, საპონი, ბისკვიტი, კონვერტები და შპაგატი, პოლიკარპე

ფანჩულიძემ—1 ხონჩა ლითონის და 1 სუდოკი, გორდაძემ და წერეთელმა—1 ჩაინიკი, 1 საყავე, 1 კრუჩკა, 1 ქვაბი, ბაწარი და ლურსმანი, სტეფანე ოცხელის მაღაზიაში შემდგარმა ამხანაგობამ—1 მოქარგული სტოლის საფენი შალის, ორი შალის საბლუზე და 3 ბატისტის საბლუზე ჩითი. სოფიო ალექსანდრეს ასულმა თუმანიშვილმა—1 ტილოს სასუხრეზე გადასაფარებელი მოქარგული სალფეტკი, სტეფანე ფირალოვმა—30 კოლოფი პაპიროსი, ლევან პეტრეს ძე კოკოჩაშვილმა—4 კოლოფი პუდრი, 5 ნაჭერი საპონი, 3 დიდი შუშა ოდეკოლონი; 9 პატარა შუშა და 2 კოლოფი კრემი.

## სამგლოვიარო წერილი.

ისედაც შავი ძაძით შემოსილს და ცრემლშეუშრობელ ქართველ ერს, კვლავ გამოაკლდა დიდი მოსარჩლე და მასწავლებელი ნიკო ლომოური. ჩვენც ღრმათ დამწუხრებულნი ახალ-გაზდანი, მწარე ცრემლებით დავსტირით მის უდროოთ გარდაცვალებას.

კაპიტონ ანჯაფარიძე, მიშა და კოწია დადეშქელიანი (?), მიშა ჟუღენტი.

## ქუთაისის თეატრის ადმინისტრაციის საყურადღებოთ!

აღმაშფოთებელი მოვლენის მოწმე გავხდით კვირა საღამოს ქუთაისის თეატრში გ. ჰაუპტმანის „დამხრჩვალი ზარი"-ს წარმოდგენაზე.

მართალია, ჩვენსა და „კულტურობის" შორის დიდი მანძილია, მაგრამ ნუთუ ადამიანის ყოველგვარ პატიოსნებაზე ხელი გვაქვს აღებული და ჩვენი სული და გული იმდენად დახშულია, რომ ძლიერს და მაღალს გრძნობის განცდას იქ ადგილი არ აქვს?

წარმოდგენის დროს ყოველი დაახლოვება, ხელის ხვევა თუ კოცნა ადამიანის ღრმა ტანჯვა-განცდის გამომხატველი მოძრაობა—„გალიორკა"-ზე, იწვევდა უშვერს ხარხარს და გარყვნილ სიტყვებს: „მწწწწ. მიდი ჰოო, „კიდევ, კიდევ" და სხვ...

არ შეგვიძლია საყვედურით არ მივმართოთ თეატრის ადმინისტრაციას: ნუ თუ ასეთ შემთხვევებში ადმინისტრაცია არავითარ ზომებს არ ღებულობს ან მიღებული არა აქვს ასეთ პირთა ასალაგმავათ?!.

გ. ა—ნი.

# სიტყვა,

რომელიც უნდა წარმოთქმულიყო ნიკო ლომოურის დაკრძალვის დღეს ქ. გორში.

„დასრულდა ესე ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა!" ეს სიტყვები უკვდავი შოთა რუსთაველისა უნებურად მაგონდება მე, როცა სევდით მოსილი შევცქერი ძვირფას ნიკოს გაცივებულ გვამს...

ამ რამდენიმე დღის წინად მთელ საქართველოში გაისმა საზარელი და გულსაკლავი ხმა... შავმა ყორანმა მოულოდნელათ დაგვჩხავლა თავზე და გაშალა ბასრი ბრჭყალები...

შეუბრალებელმა სიკვდილმა კიდევ მოსთხოვა მრავალ-ტანჯულ ქართველებს ახალი მსხვერპლი...

მან არ დაზოგა ის კეთილი და ზეგარდამო ნიჭით ცხებული მასწავლებელი, რომელიც ემსახურებოდა ბეჩავს ხალხს, უნათებდა მას ეკლიან გზას და ავრცელებდა კაცთმოყვარე აზრებს...

დადუმდა განათლებული ქართველის მჭევრ-მეტყველური ენა, სამუდამოთ მიიძინა სამშობლო ენის იშვიათმა მცოდნემ და ტკბილმა მოლაპარაკემ...

დაუვიწყარო ნიკო!..

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის სახელით მივმართავ შენ დიდებულ აჩრდილს და მოკლედ გამოვსთქვამ ამ კულტურულ დაწესებულების წრფელ გრძნობას...

40 წლის დაუღალავი შრომის შემდეგ პედაგოგიურ და სამწერლო ასპარეზზე, შენ გამოესალმე ამ ჩვენს ცოდვილს წუთისოფელს...

აწ იმყოფები იქ, სადაც მართალნი განისვენებენ...

გაცივდა შენ მკერდში ძლიერი გული, ხელიდამ გამოგივარდა კალამი, ის კალამი, რომელმაც შექმნა „ალი" და „პატარა ქაჯანა", მაგრამ სიცოცხლეშივე შენვე გადაეცი ღირსეულ მოწაფეებს ის ძლევამოსილი იარაღი, რომლითაც შენ ებრძოდი მუდამ უგნურებას და ყოველგვარ უსამართლობას...

შენი მაგალითით წახალისებული, განათლებული ახალგაზდობა საფუძვლიანად შეისწავლის ბეჩავი ხალხის ყოფა-ცხოვრებას და იმედით სავსე ამ იარაღით გამოვა ბრძოლაში, რათა შენებრ დაიცვას მთელი ერის ინტერესები...

ძვირფასო მეგობარო და დამრიგებელო! შენი მოვალეობა ამ ქვეყნად სინდისიერათ აასრულე და მშვიდობიანათ გამოგვესალმე საუკუნოდ...

იძინე ტკბილად, ნეტარო სამუდამოთ!... კარგათ დაიხსომე ჩემი წინასწარმეტყველური სიტყვები: სანამ ქართველები დედა-მიწაზედ იარსებებენ, სახელი შენი მათ შორის წმინდა იქნება მარადის.

ქუთ. სახალხო უნ—ტეტის გამგეობის თავჯდომარე

ალ. ალ. გარსევანიშვილი.

ქ. ქუთაისი.

## ჭიათურის რაიონის მემამულეთა საყურადღებოთ.

მემამულენო გაფრთხილდით, ნუ სტყუვდებით!...

როგორც ნათლად ხედავთ, ამ ბოლო დროს ჭიათურის მიდამოებს ჭიანჭველებივით მოედვა მრავალი უცხო ტომის შავი ქვის საყიდლად, მადნიანი ადგილების შესაძენად. ოღონდ კი თავის ჩარჩულ მიზანს მიაღწიონ და წინდაწინვე იძლევიან ბევრს, რითაც ჩვენ გულუბრყვილო მემამულეებს აბრიყვებენ, აცდენენ. ათას გვარ ხრიკებით ისინი თავისთვის ხელსაყრელ პირობებში გვითრევენ, გვბორკავენ, ხელფეხს გვიკვრენ. რათა უფრო ადვილად დაგვტყუონ მამა-პაპისეული ადგილ-დედული, სცდილობენ, ჩალის ფასად ხელიდან გამოგვაცალონ ბუნებრივი სიმდიდრე?

ეს მოვლენა მით უფრო სავალალო და სამწუხაროა, რომ უცხოელი ჩარჩები თავიანთ მზაკვრულ მიზნებს აღწევენ ჩვენივე თანამოძმეების შემწეობით, დახმარებით, საშუალებით, მაკლერობით, დალალობით. ეს ვაჟბატონები ორიოდე ოქროს წყალობით ჩვენს ღალატში შედიან, თავიანთ სამშობლოს ეკონომიურ კეთილდღეობას ასამარებენ და იუდასავით მას ღალატობენ.

რაკი ჩვენებური მემამულე შეუგნებელია, ადვილი მოსატყუებელია, ადვილი გასაყვლეფია, მას არავინ არ ზოგავს არც შინაური, არც გარეული. რამოდენიმე ათასი მანეთით გონებას დაუბნელებენ, რეტს დაასხამენ, აუარებელ სიმდიდრეზე ხელს აალებინებენ, პირში ჩალაგამოვლებულს ცარიელზე დასტოვებენ. მერმე კი დასცინიან, მაზე შეუფერებლად და უადგილოდ ოხუნჯობენ, ზიზღით უყურებენ. მემამულენი კი აღებულს ფულებს კარტნარდის თამაშში აგებენ, ქეიფობაში ხარჯავენ და მოკლე დროში ხახამშრალი რჩებიან.

გამოფხიზლდით ბატონებო, გონს მოდით! ნუ ფლანგავთ თქვენ მიწა-წყალს. ნუ ამდიდრებთ, ნუ ავსებთ უცხოელების უძირო ჯიბეებს. შეკავშირდით, შეერთდით ყველანი თქვენი ქონებრივი მდგომარეობის მოსისხლე მტრების წინააღმდეგ, შეადგინეთ ერთი მთლიანი, განუყოფელი ერთეული ორგანიზაცია, საზოგადოება, შეერთებული ძალით გაუმკლავდით ახლად მოვლინებულ თქვენი ქონებრივ მდგომარეობის, კეთილდღეობის მეტოქეთ, მოწინააღმდეგეთ, მოიწოდეთ უცხოეთის კაპიტალი, გამოაწყვეთ საკუთარი საქმეები, მხნეთ შეუდექით შავი ქვის მრეწველობის აყვავებას, განვითარებას თქვენდა სასარგებლოდ და საბედნიეროთ. ნუ გაუწევთ თქვენ თავს ორგულობას, აგრძნობინეთ მოხეტიალე ავანტიურისტებს, რომ თქვენში შეგნება და ძალაა. დაუმტკიცეთ მათ, რომ თქვენი მოტყუება არც ისე ადვილია, როგორც მათ გონიათ, მოიშორეთ თავიდან წურბელასავით შემოსეული დალალები, კამისიონერები. თვით თქვენ უპატრონეთ თქვენს მადანს და ხელადებით ნუ გაყიდით მას. მიიხედ-მოიხედეთ, დღევანდელ ვითარებას დაუკვირდით, წარსულ მოვლენებს ანგარიში გაუწიეთ: რა გვიყვეს გერმანელმა კაპიტალისტებმა? რამდენად დამღუპველი შექმნა ჩვენი მრეწველობისათვის მათდამი ხელადებით ამოღება მარგანეციანი ადგილების მიყიდვა. თქვენი აუარებელი სიმდიდრე ჩვენი მრეწველობის დაუძინებელ და ფხიზელ მტერს ჩაუყარეთ ხელში. აღებული ფულები გაფლანგეთ, სიზმარივით მოგონება და თუ შეგრჩათ მასზე. მიხვდით, რომ თქვენთვის ამ გზით სიარული დამღუპველი და შეუძლებელია. მართალია უსაღსრობისა და უფულობის გამო საკუთარი ძალღონით წარმოების გაჩაღება არ შეუძლიათ, მაგრამ ხელადებით გაყიდვის და დაღუპვის მაგიერ, მოიწოდეთ უცხოეთის კაპიტალი, შეუთანხმდით, შეეკარით მას განსაზღვრული პირობით და მით გამოაკეთეთ, გამოაწყვეთ თქვენი უმწეო მდგომარეობაში მყოფი საქმეები. ეს არც ისე ძნელი მოსახერხებელია, ბევრს რომ გონია, თუ თქვენი სურვილი და მოწადინება იქნება. „თუ გული გულობს, ქვდა ორივე ხელით იქმნებაო", ნათქვამია.

როგორ და რანაირად მიაღწევთ აღნიშნულ მიზანს, ამას დაინახავთ ჩვენი თანამემამულის, დავით ღამბაშიძის ჩემდამი მონაწერ წერილში, რომელიც ამჟამად ინგლისის სატახტო ქალაქ ლონდონში ცხოვრობს და პირნათლად, დაუღალავათ ემსახურება ჩვენი სამშობლოს მეურნეობისა და მრეწველობის აღორძინების, აყვავების საქმეს და მიზნის მისაღწევათ არავითარ შრომას არ ერიდება.

აი, თვით ბ. ღამბაშიძის წერილიც ჩემდამი მონაწერი, თერთმეტ მარტის თარიღით.

„თქვენი დაზღვეული წერილი 10 თებერვალს გამოგზავნილი დღეს მივიღე. ჩქარა გიპასუხებთ.

თქვენი წინადადება ფრიად საყურადღებო არის და ჩემის მხრივ უეჭველივე ზომას ვიხმარ, რომ ეს საქმე ჩვენების სასარგებლოდ მოვაგვაროთ.

პირველ ყოვლისა მსურს გაცნობოთ, რომ ჩემ მიერ ლონდონში კანტორის გახსნის დღიდან, ესე იგი, ოთხი წელიწადი ვცდილობდი და ვცდილობ მარგანეცის საქმის მოგვარებას, მაგრამ ჩვენების გაუტანლობამ და დაუდევრობამ უეჭველივე ჩემი შრომა ამაოდ აქცია.

იმედი მაქვს, რომ თქვენ სერიოზულად მოეკიდებით ამ საქმეს და რაც შესაძლებელია ჩემის მხრივ უეჭველივეს ვეცდები.

უნდა იცოდეთ, რომ სანამ ომი არ გათავდება ინგლისიდან აკრძალულია სხვაგან კაპიტალის გატანა და მოხმარება, მაგრამ ჩვენ მაინც ვეცდოთ, ომის გათავებამდის, საქმე მოვაგვაროთ და მოვაწესრიგოთ. საქმისათვის საჭირო იქნება შემდეგი:

1) ადგილების გეგმა; 2) გეგმას თან უნდა ახლდეს დაწვრილებითი აღწერა მოსაზღვრე ადგილებისა და სიშორე რკინისგზის ბაქანიდგან; 3) საჭირო იქნება აგრეთვე კავკასიის სამთამადნო ოლქის რომელიმე ინჟინრის მიერ შედგენილი და ნოტარიულად დამოწმებული ადგილების გეოლოგიური აღწერა და დაახლოვებითი გამოანგარიშება, თუ რამდენი მილიონი ფუთი ქვა გამოვა ადგილში სულ და რა ღირსების. ასეთი აღწერა სახელმწიფო ინჟინრისა უსათუოდ საჭიროა. უამისოთ არც ერთი ინგლისელი კაპიტალისტი არ შეიწუხებს თავს, რადგან ამ ნიადაგზე ჩვენში ბევრი კაპიტალისტები მოტყუვდა; 4) ადგილი არ უნდა იყოს სადაო, ხომ იცით ჩვენებურების სასამართლოში წრიალი და საქმის გაჭიანურება. ამ პუნქტს მიაქციეთ ძლიერ სერიოზული ყურადღება, თორემ უამისოთ არავითარი გამოვა; 5) ჩემ სახელზე უნდა იყოს ნოტარიალური მინდობილება, რომ მე მაქვს მინდობილი საქმის წარმოება.

როდესაც უეჭველივე ეს დოკუმენტი მექმნება, მაშინ გავმართავთ კაპიტალისტებთან მოლაპარაკებას და გაცნობებთ, თუ როგორ უფრო უკეთესი იქმნება ადგილების ექსპლოატაციის მოწყობა.

მე თვითონ იმ აზრისა ვარ, რომ ჩვენი ადგილების ექსპლოატაციაში ჩვენც ვიღებდეთ მონაწილეობას და არას გზით ხელადებით არ გავყიდოთ, რადგან მერმე პირდაღებული დავრჩებით.

რაც უფრო ბევრი ადგილი იქმნება, მით უფრო უკეთესი და ადვილია მისი დამუშავება და ხარჯებიც ნაკლები იქმნება. გთხოვთ დაჩქარებით აასრულოთ, რასაც მე გთხოვთ და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მე ვიცი თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეგეთი საქმეები.

ჩქარი პასუხის მოლოდინში, დავშთები თქვენი პატივისცემელი

დავით ღამბაშიძე.

ბატონებო, მაშ ჩაუკვირდით ამ წერილს! კარგად გაითვალისწინეთ თქვენი ეხლანდელი მდგომარეობა. ნუ უჯერებთ კამისიონერებს, დალალებს. ნუ იღუპავთ თავს, დაარსეთ ერთი სააქციონერო საზოგადოება. ბ. ღამბაშიძე, როგორც უკვე იცით, ყოველივეს ილონებს და ლონდონის კაპიტალისტებთან საქმეს მოგვიგვარებსთ.

მაშ, შეუდექით საქმეს, სანამ კიდევ გვიან არ არის!

შქრუთის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის თავჯდომარე და ამავე სოფლის სკოლის მასწავლებელი

ალექსანდრე ჩინჩალაძე.

# მოწოდება

(ქუთაისში არსებულ საზოგადოებების და კერძო პირების საყურადღებოთ).

ქუთაისში დიდი ხანია არსებობს ღარიბ ბავშთათვის მზრუნველი საზოგადოება. ეს საზოგადოება დაარსდა ექიმ დ. ნაზაროვის აწ უკვე განსვენებულ მეუღლის თაოსნობით 1908 წ.

ამ საზოგადოებამ გახსნა ღარიბ უპატრონო ბავშთათვის პირველდაწყებითი სკოლა, რომელსაც აუარებელი მსურველი მიაწყდა; მაგრამ მიღებულ იქნა მხოლოდ 50 ბავშვი ორივე სქესისა. სკოლას მაშინ მახლობელ ქომისუფლად აღმოუჩნდა ქ. ნატალია ლორთქიფანიძისა, რომელიც ამ საზოგადოების თავჯდომარეთ იყო არჩეული. მან გულით და სულით შეიყვარა ეს საქმე და დიდი შრომა და ენერგია დახარჯა რომ საზოგაოებას ხუთთანიშნული სკოლა გაეხსნა.

წელს ამ სკოლაში, რომელსაც სამი განყოფილება აქვს, სწავლობდა 129 ბავშვი, სკოლის მიზანია ღარიბ ბავშთა შორის წერა-კითხვის გავრცელება. სწავლა სწარმოებს მშობლიურ ენაზე, რუსული ენის სწავლება მეორე განყოფილებაში იწყება. ბავშვებს წიგნები და სხვა სასწავლო ნივთები უფასოთ ურიგდებათ, რადგანაც საშუალება არ აქვთ თავის ხარჯით სასწავლო ნივთები შეიძინონ. ამას გარდა საზოგადოება ბავშვებს წელიწადში ერთხელ, ყოველ 4 იანვარს, ტანისამოსსაც ურიგებს და ამით საშუალებას აძლევს ცივსუსხიან ზამთრის დღეებში სწავლას არ მოსცდენ. საზოგადოება ავათმყოფ ბავშვებსაც ხშირათ დახმარებას აძლევს ექიმის მოწვევითა და წამლის გაღებით.

აი, ამ სკოლას და ამ საზოგადოებას, რომელიც ამ დიდ სახალხო საქმეს ასრულებს, ყურადღებას არ აქცევენ არც საზოგადოებრივი დაწესებულებანი და არც გარეშე პირები.

ამ სკოლის მატერიალური მდგომარეობა ისეთია, რომ აუცილებლათ დაიკეტებოდა, რომ ისეთი გულშემატკივარნი არ ყავდეს, როგორიც არიან ამ საზოგადოების ეხლანდელი თავჯდომარე ქ. ეკატ. მოსიძისა და გამგეობის წევრნი: კალეუხოვა და ბატ. მანუილოვი.

სკოლის არსებობის სახსარია: 1. საწევრო გადასახადი, რომელიც არ აღემატება 300 მან. 2. ქალაქის თვითმართველობა ყოველ წლიურად აძლევს ამ საზოგადოებას 200 მან. 3. წარმოდგენა და სეირნობის გამართვიდან შემოდის არა ნაკლებ 1000 მან. სკოლას კი 2000 მან. მეტი სჭირდება და ეს შემოსავალი, რომელსაც დიდის გაჭირვებით და შრომით შოულობს საზოგადოება, მას არ ყოფნის. ბატ. მანუილოვი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ საზოგადოების წინაშე, ყოველ საშუალებას ხმარობს, რომ სკოლა არ დაიკეტოს და ამ ხარჯების დასაფარავად ყოველწლივ 500—600 მ. სესხულობს ხოლმე.

საზოგადოების გამგეობა დაიღალა, მოიქანცა ამ გასაოცარ შრომით, და შვიდი წელიწადი ემსახურება ერთგულათ ამ სკოლას, ისე, როგორც თავის საკუთარ ოჯახურ საქმეს. ამ სკოლის მასწავლებლებიც ცუდ პირობებში იმყოფებიან, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ისინი მაინც დიდ შრომას იჩენენ, რათა ეს სიმპატიური საქმე, რომელიც მათ წილად ხვდათ, პირნათლად შეასრულონ.

საჭიროა სხვა საზოგადოების, დაწესებულების და კერძო პირების დახმარება, წინააღმდეგ შემთხვევაში სკოლა აუცილებლათ დაიკეტება და 129 ღარიბ-ღატაკი ბავში წერა-კითხვის უცოდინარნი ქუჩაში დარჩებიან.

ამგვარი დახმარება მოეთხოვება უფრო ქუთაისის წერა-კითხვის გავრცელებელ საზოგადოებას.

ნუ დაუკეტავთ ამ ღარიბ-ღატაკ ბავშვებს ამ სკოლას, მიაქციეთ ყურადღება ამ დიდ სახალხო საქმეს, სინათლის შუქი ქართველ ხალხის ღარიბს ნაწილშიაც შეიტანეთ და წერა-კითხვა მათ შორისაც გაავრცელეთ!

სასურველია დამხმარეთ ამ სკოლას ისეთი კერძო პირებიც აღმოუჩნდებოდეს, როგორიც არის არხიმანდრიტი ნესტორი, რომელმაც სკოლას შესწირა 100 მან. ნუ დაიშურებთ ამ საქმისთვის საწევრო გადასახადს და რამე შემოწირულობას. მოიგონეთ უკვდავი შოთას სიტყვები: „რასაცა გასცემ, შენია, რაც არა დაკარგულია!"-ო.

სკოლის გამგე თამარ შეიშვილი.

## თეატრი და ცხოვრება.

„ყვარყვარე ათაბეგი"—გ. ერისთავისა.

ეს პიესა პირველად დაიდგა ქუთაისის სცენაზე 25 აპრილს, ბ-ნ ა. ყალიბეგიშვილის საბენეფისოდ. ისტორიული ამ პიესაში მეტად მცირეა გარდა იმ დრო და ჟამისა, რომელშიაც იგი სწარმოებს. შინაარსი-კი გვიხატავს მხოლოდ სურათს სპეტაკი ცოლის უმწიკვლო სიყვარულისას ქმრისადმი.

მთის არწივი, ამაყი ათაბეგი ყვარყვარე, ძლიერი და შეუპოვარი გმირი დიდხანს რჩება უცოლოდ, რადგანაც ვერსად ჰპოვა მან თავისი შესაფერი საცოლო.

ერთხელ, ტყეში ნადირობის დროს, ყვარყვარე წააწყდება ქოხს და მის წინ შენიშნავს ახალგაზდა ქალს მართას, უმწიკვლო ბუნების წმინდა ასულს.

იგი გამოდგა მოხუცი მენახშირის ქალი.

მაგრამ რა მერე?

ყვარყვარემ მასში ჰპოვა სიწმინდე, სათნოება, სიყვარული. მართა მან შეირთო ცოლად. გახადა მთავრინად, ათაბეგის მეუღლედ.

ტკბილად და წყნარად მიმდინარეობდა მათი ცხოვრება.

ერთხელ ათაბეგი ყვარყვარე დედოფლის რუსუდანმა სასახლეში მიიწვია ნადიმზე.

ლაღი ბუნების შვილს ყვარყვარეს სული შეუხუთა დედოფლის მხლებელთა პრანჭვა-გრეხა-კოპწიაობამ. აქ მათ ისიცკი შეიტყვეს, რომ უკადრისს ყვარყვარეს ცოლიც შეურთავს. მისი ამაყი გული დაუტყვევებია მშვენიერ მზეთუნახავს... მენახშირის ქალს...

ამ ახალ გაგონებას თან სდევს დაცინვა, მწარე ოხუნჯობა, გესლიანი ენის სისინი.

ყვარყვარეს ცოლს დასცინებს თვით დედოფალიც.

ამაყი ათაბეგი ვეღარ ითმენს და თვით დედოფალს უკანვე უბრუნებს მის დაცინვას.

დედოფალი შეურაცყოფილია. სასახლეში მოხდება აურ-ზაური. ყვარყვარეს მოსთხოვენ: დაიჩოქოს დედოფლის წინაშე და ბოდიში მოიხადოს.

არასოდეს! უმალ ზეცა დამექცევა თავზე! მე მართალი ვარ! შესძახებს ყვარყვარე.—სიმართლეს-კი არავისი არ ეშინია!

თავის სიმართლის დაცვას იგი მიანდობს თავის ხმალს.

დედოფალი ხედავს საქმის გამწვავებას, და სურს უფრო მეტის შურისძიებით დასაჯოს ყვარყვარეს ამაყობა.

ყვარყვარე ამცირებს თავის ცოლს, მის უანგარო სიყვარულს. მაშ უნდა დამტკიცდეს ეს. უნდა გამოსცადონ მართა. დედოფალი მოითხოვს ნიძლავს.

ვინც წააგებს ნიძლავს, იგი დასთმობს თავის სიამაყეს. თუ ყვარყვარემ წააგო საჯაროდ მუხლს მოიდრეკს დედოფლის წინაშე, ხოლო თუ დედოფალი დამარცხდა, იგი თვით დაიჩოქებს მენახშირის ქალის წინ.

ცოლის უსაზღვრო სიყვარულით დაიმედებული ყვარყვარე ჩაებმება ამ ბრძოლაში.

სამ გვარი პირობა მეტად მკაცრი და ულმობელი გამოდგა.

**პირველი** პირობა: თვითონ ყვარყვარემ უნდა დაათმობინოს დედას საყვარელი ვაჟიშვილი. იგი უნდა მოაცილონ დედის მკერდს—დედოფლის ბრძანებით—როგორც შვილი მენახშირის ქალისა და ათაბეგთა გვარეულობის შემბღალავი. დედის უართან ერთად ყვარყვარეს მოელის სიკვდილით დასჯა.

მწარე ტანჯვითა და მწუხარებით სთმობს საბრალო დედა თავის შვილს, რომ ამით

ქმრის სიცოცხლე გადაარჩინოს. ბავშვი მიჰყავთ დედოფლის კაცებს.

**მეორე** პირობა: ყვარყვარემ უნდა გააძეოს თავის სახლიდამ მართა, როგორც მისი ღირსების დამამცირებელი მეუღლე.

ამ საშინლებასაც უდრტვინველად ემორჩილება მართა. სცილდება ქმრის ოჯახს. მიდის ისევ ტყეში, ძველ ქოხში.

ამ ორ პირობაში დედოფალმა წააგო.

მთელი იმედი **მესამე პირობის** სიძნელეშია.

ახლა უნდა დამტკიცდეს, რომ ყველა ამის შემდეგ, როდესაც ყვარყვარემ ცოლს ესოდენი ტანჯვა და მწუხარება მიაყენა, მართას გულში კიდევ აქვს ადგილი ყვარყვარესადმი სიყვარულს და პატივისცემას?

ეს გამოცდა დედოფლისა და მისი ამალის თანადასწრებით მოხდება და მართლაც უსაზღვრო სიყვარული მართასი თავისი ქმრის მიმართ აქაც იმარჯვებს.

დედოფალი დამარცხდა. მან უნდა შეასრულოს თავისი მეფური სიტყვა. უნდა დაიჩოქოს მენახშირის ქალის წინაშე. ყვარყვარეს თავმომწონეობა დღესასწაულობს, მაგრამ ჯიუტ და ამაყ ყვარყვარეს მკაცრი ნიძლავი კინაღამ მართას სიცოცხლე დაუჯდა.

რამდენი მწარე ცრემლი დაღვარა მართამ ამ „ხუმრობისათვის", ამ სანაძლეო თავის შექცევისათვის. მას არ სურს დედოფალმა მის წინ მუხლი მოიხაროს. ყვარყვარეს, რომელმაც ასე სატანჯავად გაიმეტა მისი მოსიყვარულე გული, მართა მართლა უპირებს მიტოვებას, მაგრამ ამ დროს შემოჰყავთ მისგან „გატაცებული" შვილი. დედის დაკოდილი გული კვლავ მხიარულდება. შვილის სიყვარული კვლავ აერთებს მოსიყვარულე ცოლქმარს. ყვარყვარეს ეპატია მისი მკაცრი საქციელი...

პიესა ურიგო შთაბეჭდილებას არ ახდენს. მეტადრე ისე ლამაზად დადგმული, როგორც ამ საღამოს იყო. მაგრამ მართას უანგრო თავგანწირვა, ასე დაშორებული დღევანდელ სინამდვილეს, ნაწარმოებს ზღაპრულ ელფერს აძლევს.

მთავარი როლი პიესაში არის ყვარყვარე. საუცხოვო იყო ამ როლში მობენეფისე. დაკვირვებით შემუშავებული ჰქონდა მსახიობს სულიერი ტანჯვის ის მომენტები, როდესაც იგი ნიძლევის მოგების გულისთვის, უსამართლოდ სტანჯავდა საყვარელ არსებას და უდანაშაულო ცრემლებს აღვრევინებდა. მართას მძიმე როლში ქ-ნი მდივანი კარგი იყო.

ჩვენ გვეგონა, რომ საზოგადოება უფრო მეტათ დააფასებდა ამ ნიჭიერ ახალგაზდის პატიოსან შრომას ჩვენს სცენაზე. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ჩვენი საზოგადოების ამბავი? ჩვენი საზოგადოების თანაგრძნობა ისეთივე ცვალებადია, როგორც დღევანდელი ტაროსი.

როდესაც იმედი გაქვს მისი თანაგრძნობისა და გამოზაფხულებისა, სწორედ მაშინ იცის ხოლმე ამ თანაგრძნობამაც დაზამთრება...

**ჯაფარ-ფაშა.**

# დაბა-სოფელი.

**დ. ლანჩხუთი.** 19 აპრილს ადგილობრივ თეატრში შესდგა უფასო წიგ. საც.-სამკითხველოს კრება. კრების მიზანი იყო სამ. გამგეობის ნამუშევარის განხილვა და ახალი გამგეობის არჩევა. მიუხედავათ იმისა, რომ სარევიზიო კომისია სავსებით ეთანახმებოდა გამგეობის მიერ სამკითხველოს წეს-რიგის წარმოებას, ჩვენ მაინც ვერ აღმოვაჩინეთ ისეთი რამ, რომელიც სამკითხველოსათვის შეეძინოს ამ გამგეობას... მას ერთი წევრიც ვერ შეუძენია! თითქმის ძველი წევრების ფულის გადახდაც ვერ მოუხერხებია!.. აგრეთვე ამ გამგეობის ხელში ჩვენს სამკითხველოს არ შეუძენია არც ერთი ჟურნალ-გაზეთი იმას გარდა, რაიც ძველმა გამგეობამ უანდერძა. კრებაზე გამოირკვა, რომ გამგეობას შეთანხმებით ვერ უმუშავია, რასაც შედეგათ ის მოყვა, რომ საზოგადოების ქონება (წიგნები, მწერლების სურათები) სად არის გაფანტული, ღმერთის მეტმა კაცმა არ იცის! დავრწმუნდით, რომ გამგეობის (გარდა მამა ბ. ხომერიკისა) არავითარი ფხა არ გამოუჩენია სამკითხველოს აღორძინების საქმეში. გამგეობის წევრები ერთხმათ გამოცვლილი იქნა და მათ ნაცვლათ აირჩიეს ქ-ნი კატო ფხაკაძე, ბ.ბ. დათიკო წულაძე და კ. იმნაძე.

როდესაც საზოგადო საქმის ჰირისუფ-

ლათ ვირჩევთ ამა თუ პირს, ყველას მხედველობაში უნდა გვქონდეს ავირჩიოთ ისეთი პირები, რომელთაც საზ. გული შესტკივათ და შეუძლიათ საქმის კარგ ნიადაგზე დაყენება. და არა ისეთი, რომლებიც პირადული პატივისცემით და ან პარტიული მოსაზრებით ახლოს დგანან ჩვენთან... ამ შემთხვევაში არ უნდა ვგულისხმობდეთ რწმენათა სხვადასხვაობას და ავობას. მაგრამ ჩვენებური „დასელები" ყველაფერს თავისი თვალსაზრისით უცქერიან... რასაც საუბედუროთ, ადგილი ქონდა ამ კრებაზე ახალი გამგეობის წევრთა არჩევანში... ამით არავინ იფიქროს, დამცირება მსურდეს ახალი გამგეობისა, წევრებისა და ან ეჭვი შემქონდეს მათ უვარგისობაში. ოდნავათაც არა, ყველანი ფრიად სინიდისიერი და სანდო პირები არიან, მაგრამ გულის ტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ არჩევანს, როგორც ყოველთვის, დასელური ხასიათი ქონდა!..

დროა, ბატონებო, თავი მივანებოთ „მტრობა-შულლს" და შეერთებულის ძალლონით ვიმოქმედოთ ამა თუ იმ საზ. საქმეში საზოგადოების საკეთილდღეოთ!

**სკოკი.**

### ახალი წესები ყურძნის ღვინის დაყენებისა, შენახვისა და გაყიდვის შესახებ.

(წესები მოწონებულია სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროს მიერ 24 აპრილს 1914).

1. „ყურძნის ღვინის" სახელით ნებადართულია იმგვარ სასმელების გაყიდვა, რომელსაც ვღებულობთ დაუმჭკნარ ან ვაზებზე შემჭკნარ ყურძნის (და არა ქიშმიშის) ტკბილის სასპირტო დუღილისაგან, უჭაჭოთ, ჭაჭაზე ან დაყენებით, სხვა რაიმე ნივთიერებათა შეურევლად, გარდა იმისა, რაც მოხსენებული არაა მეხუთე მუხლში.

2. ყურძნის ღვინისაგან დაყენებული სასმელები: 1) შამპანური საშუალებით სასპირტო დუღილით დაყენებული და 2) ხელოვნურ გაჟღენთილი ნახშირმჟავბადით იწოდებიან „შუშხუნა ღვინოებათ". პირველ შემთხვევაში ღვინოს ეტიკეტზე მიწერილი უნდა ქონდეს „რუსული შამპანიური" ან „შამპანური საშუალებით დაყენებული", ეტიკეტზევე უნდა იყოს აღნიშნული ადგილის სახელი ღვინის დამყენებელ ფირმის სახელი. მეორე შემთხვევაში კი ეტიკეტზე სიტყვების წარწერა: „რუსული შამპანური" „შამპანური საშუალებით დაყენებული" აკრძალულია.

შამპანიდან ბოჭკებით შემოტანილ ყურძნის ღვინოს, რომელიც შამპანური საშუალებით იქნება დაყენებული რუსეთში, ეტიკეტზე უნდა ქონდეს წარწერილი, რომ ეს ღვინო რუსეთშია დამზადებული.

3. აგრეწოდებულ „საზედაშე ღვინის" გასასყიდათ დამზადება, შენახვა სავაჭრო სამრეწველო შენობაში და გაყიდვა ნებადართულია, თუ ღვინო დაყენებული იქნება უწმინდესი სინოდის მოთხოვნილების თანახმათ, რომელი მოთხოვნილებაც შემუშავებულია მიწის მოქმედებისა და მიწის მომწყობის მთავარსამართველოს მიერ გამომუშავებულ წესებთან შეთანხმებით.

4. სამკურნალო ღვინის მომზადება, შენახვა და გაყიდვა ხდება იმ წესით, რომელიც შინაგან სამინისტროსაგან არის შემუშავებული და შეთანხმებულია მიწის მოქმედებისა და მიწის მომწყობის სამართველოსაგან გამოცემულ წესებთან.

5. ყურძნის ღვინოების დასაყენებლად ნებადართულია შემდეგი ტეხნიკური საშუალებები: 1) ტკბილისა და ღვინის პასტერიზაცია 2) გაწმენდილ დუდიდემის ხმარება ტკბილის დუღილისათვის; 3) ღვინის გაწმენდა კვერცხის ცილათი, თევზის წებოთი, სუფთა ჟელატინით და კაზეინით; 4) ღვინის გაწმენდა იმგვარ ნივთიერებით, რომელიც ღვინოს მექანიკურად სწმენდს, მაგრამ შიდ კი არ იხსნება, მაგალითად: აზბესტი, ცელულოზა, წმინდა კაჟის ქვიშა, კაოლინი და ძვლის ან ხის ნახშირი; 5) ღვინისა და ტკბილის გაწურვა ქსოვილებში და ღვინოში გაუხსნელ ნივთიერების საშუალებით; 6) დამატება ტანინის, ლიმონისა და ღვინის სიმჟავეებისა, კალქვით განელებულ ღვინის სიმჟავისა და ქიმიურად გაწმენდილ კალციუმის ნახშირი ბადანისა იმ პირობით, რომ ღვინოში კალციუმის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ყურძნის ღვინის დასაყენებლათ დაწესებულ ზომას; 7) ღვინის გაყინვით გასქელება. 8) ღვინოების ერთმანეთში შერევა (კუპაჟი) 9) ქლორული ნატრიუმის მიმატება ერთ ლიტრა ღვინოში არა უმეტეს ერთი გრამისა. 10) გოგირდის სიმჟავის ხმარება და ბოჭკებისათვის სუფთა გოგირდის ბოლება, მაგრამ გასაყიდათ დამზადებულ ღვინოში ან ტკბილში გოგირდის სიმჟავე არ უნდა აღემატებოდეს 200-მილიგრამს ლიტრა ღვინოში, ხოლო ამ რიცხვში თავისუფალი გოგირდის სიმჟავე არ უნდა აღემატებოდეს 20 მილიგრამს; ბოჭკებში საბოლებლად სახმარებელი გოგირდი უნდა იყოს სრულიად ან წმინდა, თავის შაქრის შეურევლათ. 11) ტკბილის ბადბგათ ადუღება ცეცხლის საშუალებით; 12) ბადაგისა და ყურძნის გაწმენდილი სპირტის დამატება, შემდეგი პროცენტებით უნდა ხდებოდეს: სასმელ სუფრის ღვინოში საერთო სიმაგრე უნდა იყოს 10 გრადუსი (ღვინის სიმაგრის მომატება კი—არ უნდა აღემატებოდეს 4 გრადუსს), სადესერტო ანუ ტკბილ ღვინოში 16 გრადუსი, მაგარ ღვინოში კი—20 გრადუსი.

შენიშვნა: დროებით, ვიდრე გადაისინჯებოდეს არსებული სავაჭრო ხელშეკრულობები, რომლის ძალითაც ნებადართულია უცხოეთიდან რუსეთში 25 გრადუსიან სიმაგრის ღვინოების შემოტანა, რუსეთშიაც შეიძლება ასეთი სიმაგრის ღვინოების მომზადება და გაყიდვა. 13) ყურძნის ტკბილში, დუღილამდე ან დუღილის დროს, წმინდა ლერწმის შაქრის ან ჭარხლის შაქრის დამატება შეიძლება იმ პირობით, რომ ამ ტკბილისაგან დაყენებულ სუფრის ღვინის სიმაგრე არ უნდა აღემატებოდეს 10 გრადუსს; ტკბილში შაქრის დამატება ნებადართულია მხოლოდ სუფრის ღვინის დასაყენებლად მევენახეობა-მეღვინეობის რაიონებში, სადაც ღვინოს ალაგობრივ აყენებენ, ყურძნისათვის უხეირო ამინდიან წლებში რთველის განმავლობაში და ისიც მევენახეობა-მეღვინეობის ადგილობრივ კომიტეტის, მიწის მოქმედებისა და მიწის მომწყობის მთავარ სამართველოს ნებართვით. დამატებულ შაქრის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს $6^1/_2$ პროცენტს. აკრძალულია შაქრის დამატება სადესერტო (ტკბილ) და მაგარ ღვინოებში და აგრეთვე ამ ღვინოების დასაყენებლად გამზადებულ ტკბილში. 14) ალებასტრის (გიბსის) დამატების დროს გოგირდის სიმჟავის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 0,92 გრამისას ლიტრ ღვინოში, რაც უდრის 2 გრამს განელებულ გოგირდიან კალაქვის მარილს ლიტრ ღვინოში. ზემოაღნიშნულ საშუალებათა გარდა ღვინის დასაყენებლათ მიწის მოქმედებისა და მიწის მომწყობის მთავარმართველს ნება აქვს შემოიღოს სხვა ტეხნიკური საშუალებებიც. აგრეთვე ნება აქვს დააწესოს ღვინის ნაწილების ახალი ნორმა, მევენახობა მეღვინობის კომიტეტის ჩვენებით.

(შემდეგი იქნება).

# შემოწირულება.

გაზეთ „სამშობლოს" № 62-ში დასტამბულ მოწოდების შემდეგ ქ-ნ ნიფადორა კვიცარიძისა და ბაბუცი ნამიჩეიშვილის ასულის თაოსნობით არქიელის გორაზე მცხოვრებ სვანიძის უმწეო ობლების სასარგებლოდ, ამ ორმა ადამიანმა დაიწყეს ხსენებულ ობლებისთვის ფულის შეკრება. შეიკრიბა 34 მან., რომელიც გადაეცა ობლების დედას.

შემოსწირეს: ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსმა გიორგიმ—10 მან. მღვდელმა გერსამიამ (მრევლში შეკრებილი) 11 მ. თითო მანეთი: ქ.ქ. ელენე შენგელიამ, მერი ქუთათელაძისამ, სონა ნიჟარაძისამ, ნინო გიორგაძისამ, ბაბი ალშიბაიასამ, ცაცო ნასარიძისამ, ევგენია ნასარიძე-მიქელაძისამ, მედან, დიაია და ცაცო ჭელიძეებისამ; ევგ. გეგეჭკორმა, ლევან დადიშკელიანმა, სამსონ კილაძემ, ისიდორე კვიცარიძემ, ელენე ბახტაძის ასულმა, ბიკტორ ასათიანმა, დათიკო ქებაძემ, ილ. ხაზარაძემ, სიმონ ჟორჟოლიანმა, დიმიტრი ბახტაძემ, ილია მაჭავარიანმა, ვალიკო ქიქოძემ, ს. სანიკიძემ, ლვდ ტ. კაპანაძემ, კბილის ექიმმა მ. მენაღარიშვილმა და „სამშობლოს" რედაქციამ; ათათი შაური: ეფროსინე წულუკიძისამ, ლუბა ქებაძისამ, ილიკო თაყაიშვილმა, სილიბისტრო ჰირაქაძემ, ბესარიონ ჯაიანმა, ბაგრატ ჭავჭანიძემ, დათიკო ლორთქიფანიძემ, დათიკო კლდიაშვილმა, პეტრე გელეიშვილმა, ი. ბახტაძემ, ჰიჰიკო ბუაძემ, ლვდ. მ. ნაცვლიშვილმა, ბესარიონ გელოვანმა, ი. წიქორიძემ, გერასიმე არაქელოვმა და ს. ჟორდანიამ; ნინო გურიელისამ 40 კ. და ბ. ცქიტიშვილმა 20 კ. სულ 55 მან.

ობლების დედა დიდ მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

[illegible]

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**


**ი ყ ი დ ე ბ ა** ქ. ქუთაისში, **საშუალო ფირმის მაღაზია** აზოვის ბანკის განყოფილების ქვედა სართულში ელიგულაშვილის მამულში მეორე №. მაღაზია შესაფერათ გაწყობილია ფართლით: შალეული, აბრეშუმეული, ბამბეულითა და შეკერული პალტოებით. მყიდველს შეუძლია შეშუდი გაადიდოს და აწარმოოს მაღაზია. მსურველს შეუძლია მარტო ფართლეულიც **იყიდოს და წაიღოს**, მხოლოდ ერთად. ფართალი შეძენილია ომის დაწყებამდი და დღევანდელს ფასზე 30% ნაკლებ დაჯდება.

5—2—186.

**უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია**

**კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში**

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

**კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოველ გვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

— **კ ა ტ ა ლ ო გ ე ბ ი უ ფ ა ს ო თ** — თ.

**თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ.
„იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ.
„იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება: „Поэтъ Грузіи Акакій" 10 კ.
9) კ. მაჭავარიანი: „Цѣлебные минеральные источники" въ Кутаисск. губ.—ფ. 20 კ.

**აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.**

1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ.
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება სღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.
12) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. 2 ტ.—3 მ.

**რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.**

**გ ა მ ო ვ ი დ ა დ ა ი ყ ი დ ე ბ ა**

**ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში**

თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.

**ფ ა ს ი 60 კ ა პ.** წ.

**მიიღება ხელის მოწერა 1915 წ. ყოველკვირეულ სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ**

„თეატრი და ცხოვრება"-ზე.

ჩვეულებრივის პროგრამით ივ. გომართლისა და იოს. იმედაშვილის რედაქციით **ფ ა ს ი:** წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., თითო ნომერი 10 კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 2 მ., მარტის გასვლამდე 2 მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.

ხელისმოწერა მიიღება: რედაქციაში („სორაპანი"-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიად"-ში, „ცოდნას" წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში—ალ. ძაძამიასთან.

მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да цховреба" Іосифу Имедашвили

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

**მ ო ი კ ი თ ხ ე თ ყ ვ ე ლ გ ა ნ**

# ახალი ქართლი

**გამოდის ქ. გორში, კვირაში ორჯერ**
**ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ დ ა კ ვ ი რ ა ო ბ ი თ**

**ცალკე ნუმერი ერთი შაური**

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით | 1 თვით |
|---|---|---|---|---|
| **დაკვ თის ფასი:** | 5 მან. | 3 მან. | 1 მ. 50 კ. | 50 კ. |

ხელის მოწერა მიიღება: „ახალი ქართლი"-ს კანტორაში, სამეფო ქუჩა № 15. თფილისში, ივ. ავალიშვილთან, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიაში და გაზეთის თფილისელ აგენტთან, ვიქტორ მექანარიშვილთან, დუშეთის ქ. № 21.


ეროვნული ბიბლიოთეკა